

თემა 3. შეგრძნებები

შესავალი

„შეგრძნებები“ განეკუთვნება საგანმანათლებლო რესურსების კრებულს „შევიმეცნოთ სამყარო ქართულ ენაზე“, რომელიც გამიზნულია დაწყებითი საფეხურის არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეეთათვის. კრებული ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის ბუნებისმეტყველების I-IV კლასების სტანდარტის მოთხოვნებს და მიზნად ისახავს საგნისა და ენის ინტეგრირებულად სწავლა-სწავლებას ამ მოთხოვნათა გათვალისწინებით.

კრებული „შევიმეცნოთ სამყარო ქართულ ენაზე“ მოიცავს თემატურ კომპლექტებს. თითოეული კომპლექტი შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

- **დონეების მიხედვით დაყოფილი წიგნები** - ესაა ერთსა და იმავე თემატიკაზე აგებული წიგნები, რომლებიც ერთმანეთისგან სირთულის დონით განსხვავდება. თითოეულ წიგნში საფეხურებრივად რთულდება საგნობრივი და ენობრივი შინაარსი. შესაბამისად, ცალკეული დონის წიგნში მოცემული ინფორმაციის შესწავლა მოსწავლეს მოამზადებს მომდევნო დონის ასათვისებლად.
- **პოსტერები**- საგანმანათლებლო ფუნქციის მქონე თვალსაჩინოებები, რომლებიც გამოიყენება აქტივობების დროს.
- **მასწავლებლის გზამკვლევი** - ეს რესურსი მასწავლებელს სთავაზობს მრავალფეროვან თანამიმდევრულ აქტივობებს, რომელთა შესრულება მოსწავლეებს დაეხმარება წიგნებში წარმოდგენილი ცნებების, საკითხების გააზრებულად და აქტიურად სწავლაში, სტანდარტით გათვალისწინებული უნარების დაუფლებაში. თითოეული თემის გზამკვლევი შედგება სამი ძირითადი ნაწილისგან. მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი.

გზამკვლევის პირველ ნაწილში მოცემულია სიტყვათა ბანკი, ანუ ძირითადი ლექსიკა, რომლის ათვისება-განმტკიცებას ხელი უნდა შეუწყოს თემის შესწავლამ.

გზამკვლევის მეორე ნაწილში ცხრილის სახითაა წარმოდგენილი თემის მთლიანი გეგმა. სასწავლო თემა იგეგმება შემდეგი კომპონენტების გამოყენებით:

თემა	
საკვანძო ცნებები	საკვანძო კითხვები
შეფასების ინდიკატორები	

- **ცნებები** - ცნებების სახითაა განსაზღვრული ის საგნობრივი ცოდნა, რომელსაც უნდა დაეუფლოს მოსწავლე თემის ფარგლებში.
- **საკვანძო შეკითხვები** - ისინი აღვიძებს მოსწავლის ცნობისმოყვარეობას და მის წინარე ცოდნას უკავშირებს თემის ფარგლებში დასამუშავებელ ცნებებს. საკვანძო კითხვები, როგორც ვექტორები, თემის სწავლა-სწავლების პროცესს შედეგებისკენ მიმართავს.
- **შეფასების ინდიკატორები** - ინდიკატორები სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარეობს და აჩვენებს, თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ მოცემული თემის შესწავლისას. შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით შეიძლება შემუშავდეს კრიტერიუმები შეფასების რუბრიკებისთვის.

გზამკვლევის მესამე ნაწილში წარმოდგენილია თემის მიმდინარე და შემაჯამებელი აქტივობები. აქტივობები დაჯგუფებულია ეტაპებად, რომლებიც გამოყოფილია საკვანძო კითხვების მეშვეობით. ამდენად, თითოეული ეტაპი ემსახურება 1-3 საკვანძო შეკითხვის დამუშავებას.

დანართი - გზამკვლევს ახლავს ორი დანართი.

- პირველ დანართში მოცემულია შესავსები ცხრილი. ცხრილის პირველ სვეტში მოცემულია წინამდებარე გზამკვლევის აქტივობათა ნუმერაცია, მომდევნო სვეტი კი განკუთვნილია მასწავლებლის შენიშვნებისა თუ კომენტარებისათვის. კერძოდ, მასწავლებელს შეუძლია ჩაწეროს: რამდენად გამოადგა შესაბამისი ნუმერაციის აქტივობა, ხომ არ იყო ის მეტისმეტად რთული ან მარტივი, დასჭირდა თუ არა დამატებითი მასალის ან აქტივობის გამოყენება; ან საერთოდ, ხომ არ ჩაანაცვლა ეს აქტივობა სხვა აქტივობით, რომელიც უფრო ეფექტიანად ჩათვალა (და მოსწავლეთა მიერ წარმატებით იქნა შესრულებული).
- მეორე დანართში წარმოდგენილია მოსწავლეთათვის განკუთვნილი სამუშაო ფურცლები.

თემა 2. შეგრძნებები

პირველი ნაწილი - სიტყვათა ბანკი

შენიშვნა - სასურველია, სიტყვათა ბანკში წარმოდგენილ ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა მიმდინარეობდეს ქართულლობაი ენის გაკვეთილებზეც.

ძირითადი სიტყვების ბანკი	
<i>შეგრძნების ორგანოები</i>	შეხება, კანი, გემოვნება, ენა, მხედველობა, თვალი, სმენა, ყური, ყნოსვა, ცხვირი, შეგრძნება, შევიგრძნობ, ინფორმაცია
<i>შეხება</i>	სითბო, სიცივე, ტკივილი, ჩხვლეტა, ჩქმეტა, რბილი, მაგარი, გლუვი, ხორკლიანი, ხაოიანი, პრიალა, წვეტიანი, სველი, მშრალი
<i>გემოვნება</i>	მჟავე, მლაშე, ტკბილი, ცხარე; პური, ყველი, მურაბა და მისთ.
<i>სმენა</i>	ხმა, ხმები, ხმაური, ფოთლების შრიალი, წვიმის ხმა, ზარის ხმა; ცხოველების ხმიანობა - ბლავილი, ჭიკჭიკი, ყეფა, კნავილი და სხვ.
<i>ყნოსვა</i>	უსიამოვნო, სასიამოვნო სუნნი; ვანილი, ნავთი, დამწვრის სუნნი;
<i>მხედველობა</i>	ზომა, ფერი, ფორმა, სამკუთხედი, ოთხკუთხედი, ხვეული, კლაკნილი
<i>წელიწადის დროები</i>	გაზაფხული, ყვავილის სურნელი, წვიმის წვეთები; ზაფხული, ზამთარი, შემოდგომა, ფოთოლცვენა, ფიფქები, ყინული და სხვ.

მეორე ნაწილი - სასწავლო თემის ზოგადი გეგმა:

თემა: ცხოველთა სამყარო	
საკვანძო ცნებები	საკვანძო შეკითხვები:
<p>კვლევა: დაკვირვება, შედარება, ამოცნობა, დახარისხება; ცოცხალი სხეული: ნიშან-თვისებები</p> <p>შეგრძნების ორგანოები: მხედველობის ორგანო- თვალი, შეხების ორგანო- კანი, სმენის ორგანო- ყური, ყნოსვის ორგანო- ცხვირი, გემოვნების ორგანო-ენა.</p> <p>სხეულები და მოვლენები: საგანთა ნიშან-თვისებები</p>	<ul style="list-style-type: none"> • საიდან ვიცი, რა მინდა და რა არ მინდა? • რისთვის მჭირდება მხედველობა? • რისთვის მჭირდება შეხება? • რისთვის მჭირდება სმენა? • რისთვის მჭირდება ყნოსვა? • რისთვის მჭირდება გემოს შეგრძნება (/გაგება, დაგემოვნება)? • როგორ ვიყენებ შეგრძნების ორგანოებს? • როგორ იყენებენ ცხოველები შეგრძნების ორგანოებს? <p>როგორ მოვიქცე, რომ გამიადვილდეს საინფორმაციო- შემეცნებითი ტექსტის გააზრება?</p>

შეფასების ინდიკატორები:

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- პრაქტიკულ აქტივობებში ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების (დაკვირვება, ამოცნობა, შედარება, დახარისხება) დემონსტრირება;
- შეგრძნების ორგანოების ფუნქციის გაცნობიერება;
- შეგრძნების ორგანოთა ფუნქციების გააზრება სხვადასხვა კონტექსტში;
- სხეულებისა და მათი შემადგენელი მასალების თვისებების დახასიათება;
- ციკლური ბუნებრივი მოვლენების აღწერა და შეგრძნების ორგანოებთან დაკავშირება;
- შეგრძნების ორგანოებზე საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტების გააზრება და შექმნა.

მესამე ნაწილი

თემის დამუშავების ეტაპები	სასწავლო საათების საორიენტაციო რაოდენობა: 20+/-4
<p>I ეტაპი</p> <p>საიდან ვიცი, რა მინდა და რა არ მინდა? (ცნება - შეგრძნება)</p> <p>რესურსი: თემის დამუშავებისთვის ლექსიკური მარაგის გასახსენებლად გამოიყენეთ სახელმძღვანელო „ქართული ენა“¹</p>	
<ol style="list-style-type: none"> <li data-bbox="121 824 1461 1176"> <p>პირადი გამოცდილების გახსენება - მოსწავლეებმა უნდა გაიხსენონ სასიამოვნო ან უსიამოვნო შეგრძნებების მომგვრელი ქმედებები პირადი ცხოვრებიდან. დაუსვამთ შეკითხვებს: <i>რა გიყვართ? რა გსიამოვნებთ? რისი კეთება გსიამოვნებთ? რა არ გსიამოვნებთ?</i>. პირადი მაგალითებით გააგებინებთ, რას ითხოვთ მათგან (მაგ., <i>მე ფისო მყავს, მსიამოვნებს ფისოს მოფერება, მსიამოვნებს თაფლის ჭამა, არ მიყვარს ზამთარი, სიცივე არ მსიამოვნებს</i>)(მიზანი: ინტერესის პროვოცირება, წინარე ცოდნის გააქტიურება).</p> <li data-bbox="121 1176 1461 1677"> <p>სასიამოვნო/უსიამოვნო შეგრძნებების დაჯგუფება - ჩამოწერეთ მოსწავლეთათვის ნაცნობი სასიამოვნო და უსიამოვნო შეგრძნებები დაფაზე (მაგ., <i>ფუნთუშის ჭამა, მდინარეში ბანაობა, ციგით სრიალი, ყურის ტკივილი, თითის გაჭრა, დამწვრის სუნი, წყურვილი, ნაყინის ჭამა და მისი.</i>). დახაზეთ დაფაზე T სქემა: სასიამოვნო შეგრძნება - უსიამოვნო შეგრძნება; დააჯგუფებინეთ მოსწავლეებს ინფორმაცია სქემაში. იმისთვის, რომ ბავშვებმა გაიგონ, რას ნიშნავს სიტყვა „შეგრძნება“ და აითვისონ იგი, ყოველ ჯერზე გაამახვილებინეთ მასზე ყურადღება (მაგ., <i>ნაყინის ჭამა სასიამოვნოა თუ უსიამოვნო? ნაყინის ჭამა სასიამოვნო შეგრძნებას იწვევს, სად ჩავწეროთ - სასიამოვნო შეგრძნებებში თუ უსიამოვნო შეგრძნებებში?</i>) (მიზანი: ინტერესის პროვოცირება, წინარე ცოდნის გააქტიურება, ლექსიკური მარაგის გამდიდრება).</p> 	

- ¹*ქართული ენა 1, თემა 4 (სკოლაში მივდივარ), თემა 6. მე მიყვარს ბუნება* - სახელმძღვანელო დაწყებითი საფეხურის არაქართულენოვანი მოსწავლეებისათვის (მაია მელიქიძე, ნ. გორდელაძე), თბილისი, 2011.
- *ქართული ენა 2, თემა 6 (ცხოველების სამყაროში)* - სახელმძღვანელო დაწყებითი საფეხურის არაქართულენოვანი მოსწავლეებისათვის (მაია მელიქიძე, ნ. გორდელაძე), თბილისი, 2011.
- *ქართული ენა 3, თემა 4 (ერთი დღე ქალაქში), თემა 5 (მოდი, მაღაზიოზანა ვითამაშოთ)* - სახელმძღვანელო დაწყებითი საფეხურის არაქართულენოვანი მოსწავლეებისათვის (მაია მელიქიძე, ნ. გორდელაძე), თბილისი, 2011.

3. **T სქემაზე დაყრდნობით დასკვნის გამოტანა** - ბავშვებმა უნდა მიუწერონ T სქემაში გამოტანილ აქტივობებს „მინდა-არ მინდა“. ამგვარად შევსებულ სქემაზე დაყრდნობით დასვამთ შეკითხვას, რომელიც მოსწავლეებს დაეხმარება, დააკავშირონ შეგრძნება სურვილთან. მაგ.: *რისთვის არ გვინდა ყურის ტკივილი?* პასუხს T სქემაშივე მოაძებნიებთ: იმიტომ, რომ ყურის ტკივილი უსიამოვნო შეგრძნებას იწვევს (მიზანი: სიტყვა „შეგრძნების“ გაგება და დამახსოვრება). აქტივობის დასრულებისას გამოიტანთ დასკვნას: „უსიამოვნო შეგრძნება ამბობს(გვეუბნება): - *შენ ეს არ გინდა!*“ სასიამოვნო შეგრძნება ამბობს(გვეუბნება): - *შენ ეს გინდა!*“ (მიზანი: სიტყვა „შეგრძნების“ გაგება და დამახსოვრება, ლექსიკური მარაგის გამდიდრება).

ნახატის შექმნა- მოსწავლეებს სთხოვთ, დახატონ ორი ნახატი შემდეგი სათაურებით: „სასიამოვნო შეგრძნება“, „უსიამოვნო შეგრძნება“. მოსწავლეები გამოფენენ და წარადგენენ ნახატებს(მიზანი: იგივე, რაც წინა აქტივობის შემთხვევაში).

II ეტაპი

2. რისთვის მჭირდება მხედველობა? (ცნებები: მხედველობა, მხედველობის ორგანო - თვალი)

4. **ფიგურებით ერთმანეთის პოვნა** - წინასწარ გაქვთ გამზადებული პატარა ბარათები, რომლებზეც მოცემულია სხვადასხვა ფერისა და ფორმის ფიგურები. მაგალითად: სამ-სამი ბარათი წითელი წრით, სამ-სამი ბარათი მწვანე ოთხკუთხედით, სამ-სამი ბარათი ყვითელი სამკუთხედით, სამ-სამი ბარათი ლურჯი ტეხილი ხაზით. ბარათების რაოდენობა განისაზღვრება მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით. აქტივობის დაწყებამდე, მოსწავლეებს გაახსენებთ ფიგურებისა და ფერების სახელებს.

მოსწავლეებს არეულად ურიგებთ არეულ ბარათებს. დარიგების შემდეგ თითოეულმა ხმის ამოუღებლად (ლაპარაკი აკრძალულია) უნდა მოძებნოს იმავე ფიგურის მქონე მოსწავლე. ერთი და იმავე ფიგურის მქონე ბავშვები ერთად ჯგუფდებიან და ასახელებენ, რა ფორმისა და ფერის ფიგურა აქვთ. მოსწავლეები ადგილებს უბრუნდებიან. უნდა ახსნან: როგორ იპოვეს ერთმანეთი ხმის ამოუღებლად? როგორ მოიქცნენ, რა გააკეთეს იმისთვის, რომ ერთმანეთი ეპოვათ? რას მიაქციეს ყურადღება, როდესაც ერთმანეთს ეძებდნენ? (ფიგურის ფორმას და ფერს); რით ხედავდნენ ფორმას და ფერს? რა გამოიყენეს ამისთვის?(მიზანი: ლექსიკის გახსენება, მხედველობის ფუნქციის გააზრება).

5. **თვალთ ფორმების გარჩევა** - დაფაზე ჩამოწერეთ ფიგურების სახელები: ოთხკუთხედი, სამკუთხედი, წრე, ოვალი. მოსწავლეებს სთხოვთ, კლასში მოძებნონ

ნივთები, რომლებსაც აქვთ ოთხკუთხედის, სამკუთხედის ან წრის ფორმა (მიზანი: ლექსიკური მარაგის გამდიდრება, ნასწავლი ლექსიკური ერთეულების გააქტიურება).

- 6. თვალთ ფერის გარჩევა - დაფაზე ჩამოწერთ ფერების სახელებს. მოსწავლეებს სთხოვთ, კლასში მოძებნონ ფერების მქონე ნივთები (მიზანი: იგივე, რაც წინა აქტივობის შემთხვევაში).
- 7. ნივთების შედარება ფერის, ფორმის, ზომის მიხედვით - მოსწავლეებმა უნდა შეავსონ ცხრილი კლასში არსებულ საგნებზე დაყრდნობით (იხ. დანართი 2):

სხეული	ფერი	ფორმა	ზომა
კარადა	ყავისფერი	ოთხკუთხედი	დიდი
წიგნი	მწვანე	ოთხკუთხედი	საშუალო
დაფა	ყავისფერი	ოთხკუთხედი	დიდი
ცარცი	თეთრი	ოთხკუთხედი	პატარა

ცხრილის საფუძველზე უნდა უპასუხოთ შეკითხვებს: რა ფერისაა? რა ფორმისაა? რა ზომისაა?

დასასრულ, დაეხმარებით მოსწავლეებს შეჯამებაში: *კარადა სხეულია, დაფა სხეულია, ცარცი სხეულია. როცა სხეულს ვუყურებთ, რას ვხედავთ? - ვხედავთ სხეულის ფერს, ფორმას, ზომას.*

(მიზანი: ლექსიკური მარაგის გამდიდრება, ინფორმაციის დახარისხების უნარის განვითარება).

- 8. ინფორმაციის დაჯგუფება - მოსწავლეებმა ქვემოთ მოცემული სიტყვები ცხრილში უნდა დააჯგუფონ (იხ. დანართი 2).

ლურჯი, დიდი, წითელი, ოთხკუთხედი, საშუალო, ყვითელი, სამკუთხედი, მწვანე, პატარა, წითელი, შავი, კვადრატი, მაღალი, წრე, თეთრი, დაბალი.

მხედველობის თვალი	ორგანო-	ფორმა	ზომა	ფერი
		ოთხკუთხედი	დიდი	ლურჯი
		სამკუთხედი	საშუალო	წითელი
		კვადრატი	პატარა	ყვითელი
		წრე	მაღალი	მწვანე
			დაბალი	წითელი
				შავი
				თეთრი

დასასრულ, დაეხმარებით მოსწავლეებს შეჯამებაში: *რას ვხედავთ თვალით? თვალით ვხედავთ ფორმებს, ზომებს, ფერებს.*

(მიზანი: ნასწავლი ლექსიკური მარაგის გააქტიურება, ინფორმაციის დახარისხების უნარის განვითარება).

9. **ნაკლული ტექსტის შევსება** - მოსწავლეებმა ქვემოთ მოცემული სიტყვებით უნდა შეავსონ ტექსტი (იხ. დანართი2).

შეავსე ქვემოთ მოცემული ტექსტი სიტყვებით: მაღალ / თვალით / ორგანო / თვალი

----- ვხედავ მწვანე და ----- ხეებს, დიდ და პატარა ცხოველებს. თვალი არის მხედველობის -----.

შევსებული ტექსტი: თვალით ვხედავ მწვანე და მაღალ ხეებს, დიდ და პატარა ცხოველებს. თვალი არის მხედველობის ორგანო.

(მიზანი: წერითი მეტყველების უნარების განვითარება, მხედველობის ფუნქციის გააზრება).

10. **მხედველობის დაკავშირება სასიამოვნო და უსიამოვნო შეგრძნებებთან** - მოსწავლეებს დაურიგეთ ილუსტრირებული წიგნები ცხოველებსა და შეგრძნებებზე. მათ უნდა მოინიშნონ სამი რამე, რის ყურებაც სიამოვნებთ; სამი რამე, რის ყურებაც არ სიამოვნებთ. დაეხმარეთ იდეების შემუშავებაში (მაგ., *ვის სიამოვნებს ზღვის, მდინარის ყურება? სავსე მთვარის ყურება? ნავით სავსე ეზოს ყურება?* და მისთ.). შესაჯამებლად დაუსვამთ შეკითხვას: *არის თუ არა მხედველობა შეგრძნება?* ბოლოს მოსწავლეები რვეულებში ხატავენ მხედველობის ორგანოს (თვალს) და მიაწერენ მას - თვალით ვხედავ, თვალი არის მხედველობის ორგანო (მიზანი: მხედველობის ფუნქციის გააზრება, ლექსიკური მარაგის გამდიდრება).

• **ცნების რუკის** - „შეგრძნებები“ - **მომზადების პირველი ეტაპი** - გააკრავთ დიდი ფორმატის ქაღალდის ფურცელს, შუაგულში შემოხაზავთ დიდ რგოლს და ჩაწერთ: *შეგრძნებები*. ამ წრეს გაუკეთებთ ხუთ განშტოებას; ერთ-ერთ განშტოებაზე შემოხაზავთ პირველ წრეზე უფრო პატარა ფორმატის წრეს, შიგნით ჩაწერთ: *მხედველობა*; მხედველობის წრიდან გამოიტანთ კიდევ ერთ წრეს, ჩაწერთ: *მხედველების ორგანო - თვალი*.

„თვალის“ წრეს გაუკეთებთ განშტოებებს და მოსწავლეთა მონაწილეობით მიუწერთ, რას ხედავს თვალი (ფორმებს, ფერებს, ზომებს); მოსწავლეებს გამოათქმევინებთ

ვარაუდებს იმაზე, თუ კიდევ რით შეივსება ცნების რუკა(მიზანი: იგივე, რაც წინა აქტივობის შემთხვევაში).

- **გონებრივი იერიში - დაფიქრება მხედველობის მნიშვნელობაზე** - მოსწავლეები საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით პასუხობენ კითხვას: რაში ვიყენებ მხედველობას?

(მიზანი: ზეპირმეტყველების უნარების განვითარება, მხედველობის ფუნქციის გააზრება).

III ეტაპი

3. რისთვის მჭირდება შეხება? (ცნებები: შეხება, შეხების ორგანო - კანი)

- **საგნები ტომარაში** - ტომარაში ან დიდ ჩანთაში მოსწავლეებისაგან დაფარულად ჩააწყობთ სხვადასხვა საგანს (მაგ., საშლელს, ფანქარს, ჭიქას, კუბურას, წიგნს, დაფის საწმენდს, ცარცს, ბამბას). მოსწავლე ჩაყოფს ხელს და ეხება საგნებს. მან ხელის მოსინჯვით უნდა ამოიცნოს და დაასახელოს ისინი, შემდეგ კი ახსნას, რისი საშუალებით ამოიცნო, „შეიგრძნო“ საგნები ბოლოს შეაჯამეთ: ის ხელით შეეხე საგნებს, შეხებით იგრძნო, შეხებით ამოიცნო (მიზანი: ინტერესის პროვოცირება დასამუშავებელი ცნების - „შეხების“ - მიმართ).
- **ფერადი საგნები ტომარაში** - ტომარაში ან ჩანთაში ჩააწყობთ სხვადასხვა ფორმის, ზომისა და ფერის საგნებს (მაგ., კუბურებს, ფანქრებს). კითხვების დასმით მოსწავლეებს უნდა გააცნობიერებინოთ, რომ შეხებით ისინი ამოიცნობენ ფორმასა და ზომას, მაგრამ ვერ ამოიცნობენ ფერს (მიზანი: ცნება „შეხების“ გაგება).
- **კანზე თითით ასოების მოხაზვა** - მოსწავლეები მუშაობენ წყვილებში. ერთი მეწყვილე ზურგით დაჯდება და ხელს ზურგს უკან წაიღებს. მეორე მეწყვილე მას ხელზე მოუხაზავს სხვადასხვა ასოს. პირველმა მეწყვილემ უნდა ამოიცნოს, რა ასო დააწერეს ხელზე. ამის შემდეგ განიხილავთ ჩატარებულ აქტივობას - მოსწავლეებს ჰკითხავთ, როგორ ამოიცნეს ასოები მათი დანახვის გარეშე. ბოლოს ერთად შეაჯამებთ: *მათ კანზე იგრძნეს შეხება*(მიზანი: ცნება „შეხების“ გაგება).
- **გონებრივი იერიში** - მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ, კიდევ რას შეიგრძნობს კანი. დაეხმარეთ მათ დამხმარე შეკითხვებით (მაგ., *რისთვის ვიცვამთ თბილ ტანსაცმელს, როცა ცივა? რისთვის ვბანაობთ ცივ წყალში, როცა ცხელა? რისთვის არ გიყვარს ნემსის გაკეთება?*). ბოლოს შეაჯამებთ: კანით შევიგრძნობთ შეხებას,

სითბოს, სიცივეს, ტკივილს. კანი არის შეხების ორგანო(მიზანი: ცნება „შეხების“ გაგება).

- **შეხების დაკავშირება სასიამოვნო და უსიამოვნო შეგრძნებებთან** - ჩამოწერთ სიტყვებს: ყინული, თოვლი, ატამი, კნუტი, ნემსი, ცარცი, ხავსი, გველი, თევზი. მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ, რომელი მათგანის შეხება სიამოვნებთ ან არ სიამოვნებთ. შესაჯამებლად დაუსვამთ შეკითხვას: *არის თუ არა მხედველობა შეგრძნება?*(მიზანი: იგივე, რაც წინა აქტივობისთვის).
- **ცნების რუკის („შეგრძნებები“) შევსება** - მოსწავლეებთან ერთად შეავსებთ რგოლ „შეგრძნების“ კიდევ ერთ განშტოებას: „შეხება“, „შეხების ორგანო: კანი“ - კანი შეიგრძნობს შეხებას, სითბოს, სიცივეს, ტკივილს (მიზანი: ცნება „შეგრძნებების“ გაგება).
- **გონებრივი იერიში: დაფიქრება შეხების მნიშვნელობაზე** - საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, მოსწავლეები პასუხობენ კითხვას: *რაში ვიყენებ შეხებას? (რაში მეხმარება შეხება?).*

(მიზანი: იგივე, რაც წინა აქტივობის შემთხვევაში).

IV ეტაპი

4. რისთვის მჭირდება სმენა? (ცნებები: სმენა, სმენის ორგანო - ყური)

- **ხმების ამოცნობა** - უთხარით მოსწავლეებს, რომ გახვალთ საკლასო ოთახიდან და დახურავთ კარს, მოსწავლეებმა კი ფურცლებზე უნდა ჩაიწერონ, რა ხმებსაც გაიგონებენ გარედან. გარეთ მდგომი უკრავთ ტაშს, აკაკუნებთ კარებზე, აბაკუნებთ ფეხებს, აწკარუნებთ ზარს, ხმების გამოსაცემად შეგიძლიათ გამოიყენოთ მობილური ტელეფონის სხვადასხვა ზარის ფუნქცია. ამის შემდეგ ბრუნდებით კლასში და სთხოვთ მსურველ მოსწავლეებს, წარმოადგინონ ხმების ჩამონათვალი. ბოლოს, მოსწავლეებმა უნდა ახსნან, რით გაიგონეს ხმები.

(მიზანი: ინტერესის პროვოცირება ცნება *სმენის* მიმართ).

- **ცდების ჩატარება** - ბავშვებს ატარებინებთ ცდებს იმის გასარკვევად, თუ რამდენად ვრცელდება ხმა ჰაერში.

(მიზანი: ინტერესის პროვოცირება, ყურადღების გამახვილება).

- **თვალეების ახვევა 1-** ერთ-ერთ მოსწავლეს ვაჩვენებთ მაგიდაზე დაწყობილ საგნებს (წიგნს, საწერ კალამს, ცარცს, მაკრატელს და სხვ.).შემდეგ მოსწავლეს თვალეებს

აუხვევთ, საგნებს კი რიგრიგობით დაყრით ძირს ან მაგიდაზე. მოსწავლემ ხმის მიხედვით უნდა ამოიცნოს, რა საგანი დავარდა. ბოლოს მოსწავლეებმა უნდა ახსნან, როგორ ამოიცნეს საგანი, შეგრძნების რომელი ორგანო გამოიყენეს ამისთვის.

(მიზანი: ყურადღების გამახვილება სმენაზე, როგორც შეგრძნების ორგანოზე).

- **თვალეების ახვევა 2** - ერთ-ერთ მოსწავლეს თვალეებს აუხვევთ, დანარჩენები რიგრიგობით დაელაპარაკებიან მას. თვალეებზე ულმა მოსწავლემ ხმის მიხედვით უნდა ამოიცნოს და დაასახელოს, ვინ ელაპარაკება.

(მიზანი: იგივე, რაც წინა აქტივობის შემთხვევაში).

- **სმენის დაკავშირება სასიამოვნო და უსიამოვნო შეგრძნებებთან** - ჩამოწერთ ქმედებებს: ბავშვის ტირილი, უფროსის ყვირილი, სკოლის ზარი, მდინარის ხმა, ვირის ყროყინი, ძროხის ზმუილი, ბუზის ბუზილი, ჩიტების ჭიკჭიკი, მუსიკა, და სხვ. მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ, რომელი მათგანის მოსმენა სიამოვნებთ ან არ სიამოვნებთ. შესაჯამებლად დაუსვამთ კითხვას: *არის თუ არა სმენა შეგრძნება?* დასასრულ, სთხოვთ ბავშვებს, ჩახატონ რვეულში ყური და მიაწერონ: *ყური არის სმენის ორგანო.*

(მიზანი: ცნების - „სმენის ორგანო“ - გააზრება).

- **ცნების რუკის („შეგრძნებები“) შევსება** - მოსწავლეებთან ერთად შეავსებთ რგოლ „შეგრძნების“ მესამე განშტოებას ორი რგოლით: „სმენა“, „სმენის ორგანო ყური“ - ყური შეიგრძნობს ხმებს: მუსიკას, კაკუნს, მობილური ზარს და სხვ.

(მიზანი: ცნებების: „სმენა“, „სმენის ორგანო“ გააზრება).

- **გონებრივი იერიში - დაფიქრება სმენის მნიშვნელობაზე** - საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, მოსწავლეები პასუხობენ კითხვას: *რაში ვიყენებ სმენას? (რაში მებმარება სმენა?)*

V ეტაპი
5. რისთვის მჭირდება ყნოსვა? (ცნებები: ყნოსვა, ყნოსვის ორგანო - ცხვირი)

- **სუნით საგნის ამოცნობა** - კლასში წინასწარ მიიტანთ ისეთ პროდუქტებს ან ნივთებს, რომლებსაც დამახასიათებელი მძაფრი სუნი აქვთ (მაგ., ვანილის პაკეტს, ლიმონს, შოკოლადს, საპონს, ქინძს და სხვ.). გამოგყავთ ექსპერიმენტში მონაწილეობის მსურველი მოსწავლე, აუხვევთ თვალეებს. მოსწავლე ყნოსავს სხვადასხვა ნივთს და ამბობს, რა არის. თუ სხვა მსურველებიც იქნებიან, შეგიძლიათ გაიმეოროთ ექსპერიმენტი. მოსწავლეებმა უნდა ახსნან, როგორ ამოიცნეს საგნები მხოლოდ დაყნოსვით. ექსპერიმენტის დასრულების შემდეგ

მოსწავლეებმა უნდა გააკეთონ დასკვნა: *ცხვირი არის ყნოსვის ორგანო.*

(მიზანი: ცნებების - „ყნოსვა“, „ყნოსვის ორგანო“ - გააზრება).

- **სუნის დაკავშირება სასიამოვნო და უსიამოვნო შეგრძნებებთან** - ჩამოწერთ სიტყვებს: საპონი, შემწვარი კარტოფილი, ვარდი, ნავთი/ბენზინი, მწვანილი, და სხვ. მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ, რომელი მათგანის სუნი სიამოვნებთ ან არ სიამოვნებთ. შეაჯამებინეთ: *არის თუ არა ყნოსვა შეგრძნება?* ბოლოს მოსწავლეები რვეულებში ხატავენ ყნოსვის ორგანოს (ცხვირს) და მიაწერენ მას: *ცხვირი არის ყნოსვის ორგანო.*
(მიზანი: იგივე, რაც წინა აქტივობის შემთხვევაში).

- **ცნების რუკის („შეგრძნებები“) შევსება** - მოსწავლეებთან ერთად შეავსებთ რგოლ „შეგრძნების“ მეოთხე განშტოებას რგოლებით: „ყნოსვა“, „ყნოსვის ორგანო-ცხვირი“ - ცხვირი შეიგრძნობს სუნს. ჩამოწერთ მაგალითებს მოსწავლეთა კარნახით.
(მიზანი: იგივე, რაც წინა აქტივობის შემთხვევაში).

- **გონებრივი იერიში - დაფიქრება ყნოსვის მნიშვნელობაზე** - მოსწავლეები საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით პასუხობენ კითხვას: რაში ვიყენებ ყნოსვას? (/რაში მეხმარება ყნოსვა?)
(მიზანი: იგივე, რაც წინა აქტივობის შემთხვევაში).

VI ეტაპი

6. რისთვის მჭირდება გემოს შეგრძნება (/დაგემოვნება)? (ცნებები: გემო, გემოვნების ორგანო- ენა)

აქტივობა 5 - გემო

- **ლექსიკის გამეორება** - დაფაზე შეადგენთ გონებრივ რუკას: მთავარ რგოლში ჩაწერთ: *გემო*, დაქვემდებარებულ რგოლებში: *მლაშე, ტკბილი, ცხარე, მყავე.* კონკრეტული მაგალითების მოყვანით გაახსენებთ მოსწავლეებს ამ სიტყვათა მნიშვნელობებს. შემდეგ თავად მოსწავლეები გაიხსენებენ შესაბამის მაგალითებს.
(მიზანი: ინტერესის პროვოცირება ცნება „გემოვნების“ მიმართ, წინარე ცოდნასთან დაკავშირება, ნაცნობი ლექსიკური ერთეულების გააქტიურება).

- **გემოს გასინჯვა** - მოამზადეთ სხვადასხვა გემოს მქონე 3 სითხე: ლიმონიანი წყალი, შაქრიანი წყალი და მარილიანი წყალი; რიგრიგობით დააწვეთეთ ეს სითხეები მოხალისეებს პიპეტით ენაზე და სთხოვეთ, თქვან, რის გემოს გრძნობენ, არის თუ არა ეს მათთვის სასიამოვნო. შესაჯამებლად დაუსვით შეკითხვა: *რით იგრძნობთ გემო?* გამართეთ მინიდისკუსია შეგრძნების ორგანოებზე. სადისკუსიო კითხვა: *რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი შეგრძნების ორგანო?*

(მიზანი: შეგრძნების ორგანოების ფუნქციის გააზრება, ზეპირმეტყველების უნარების განვითარება).

- **გემოს დაკავშირება სასიამოვნო და უსიამოვნო შეგრძნებებთან** - მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ, რისი გემო სიამოვნებთ, რისი - არა. შესაჯამებლად დაუსვით კითხვა: *არის თუ არა გემო შეგრძნება?* ბოლოს სთხოვეთ ბავშვებს, ჩახატონ რვეულში ენა და მიაწერონ: *ენა არის გემოვნების ორგანო .II-VI ეტაპების აქტივობათა დასრულების შემდეგ მოსწავლეებს რვეულებში ჩახატული და ჩაწერილი აქვთ შეგრძნების ორგანოები.*

(მიზანი: ცნების გემო გაგება-გაზრება).

- **ცნების რუკის („შეგრძნებები“) შევსება** - მოსწავლეებთან ერთად შეავსეთ რგოლ „შეგრძნების“ მეხუთე განშტოება: „გემო“, „გემოს ორგანო ენა - ენა შეიგრძნობს სხვადასხვა გემოს“. მოსწავლეთა კარნახით ჩამოწერეთ: ცხარე, ტკბილი, მარილიანი, მლაშედა სხვ.

(მიზანი: ცნების შეგრძნებები გააზრება).

- **გონებრივი იერიში: დაფიქრება გემოს მნიშვნელობაზე** - მოსწავლეები საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით პასუხობენ კითხვას: რაში ვიყენებ გემოს?

(მიზანი: გემოვნების ორგანოს ფუნქციის გაცნობიერება).

- **კროსვორდის შევსება** - დაურიგეთ მოსწავლეებს სამუშაო ფურცლები (იხ. დანართი 2).

შევსებული სამუშაო ფურცელი(მიზანი: ენობრივ-საგნობრივი ცოდნის განმტკიცება)


			1.								
			შ								
2	მ	ხ	ე	დ	ვ	ე	ლ	ო	ბ	ა	
		3.	გ	ე	მ	ო	ვ	ნ	ე	ბ	ა
			რ								
			ძ								
4	ს	მ	ე	ნ	ა						
		5	შ	ე	ხ	ე	ბ	ა			
			ბ								
6	ყ	ნ	ო	ს	ვ	ა					

VII ეტაპი

როგორ ვიყენებ შეგრძნების ორგანოებს?

როგორ იყენებენ ცხოველები შეგრძნების ორგანოებს?

- ენობრივი კონსტრუქციების ათვისება - „შეგრძნებების“ დაბალი დონის წიგნზე დაყრდნობით დაამუშავებინეთ მოსწავლეებს ორი კონსტრუქცია, რომელთა სქემები დაფაზე უნდა გამოსახოთ (მიზანი: საგნობრივ თემასთან დაკავშირებული ენობრივი ცოდნის განმტკიცება).



- ლექსიკის გახსენება - მოსწავლეები ასახელებენ ყველა საგანს, რომლებსაც საკლასო ოთახში ხედავენ. შემდეგ თქვენ მიერ დასმული კითხვების საშუალებით გაიხსენებენ სკოლასა და სწავლასთან დაკავშირებულ სხვა ლექსიკურ ერთეულებს (ეზო, დერეფანი, ზარი, სასწავლო საგნები, ფიზკულტურის დარბაზი, სხვ.) (მიზანი: ლექსიკური ცოდნის გახსენება).
- გარე სამყაროს ობიექტების დაკავშირება შეგრძნების ორგანოებთან - მოსწავლეებს გამოსაწვევად დაუსვამთ შეკითხვას: „საიდან ვიცით, რომ საკლასო ოთახში ვართ? დაუკავშირეთ ყველა მიღებული პასუხი შესაბამის შეგრძნებას, ასევე სიტყვას „ინფორმაცია“, რათა ხელი შეუწყოთ ამ სიტყვის მნიშვნელობის გაგებას (მაგ., თუ მოსწავლე იტყვის - ეს საკლასო ოთახია - აქ დაფაა. დააზუსტებთ: მაჩვენე ჩვენს სქემაზე, შეგრძნების რომელი ორგანოთი ვიღებთ ამ ინფორმაციას). (მიზანი: შეგრძნებების ფუნქციის გაცნობიერება, სიტყვა „ინფორმაციის“ მნიშვნელობის გაგება).
- სკოლაში აღქმული ობიექტების დაკავშირება შეგრძნების ორგანოებთან - დახაზავთ დაფაზე ცხრილს, რომელიც მოსწავლეებმა უნდა შეავსონ ჯგუფებში მუშაობის

გზით. მუშაობის დასრულების შემდეგ ერთობლივად განიხილეთ ნამუშევრები. მოსწავლეთა ჯგუფებს დაურიგებთ შესაბამის სამუშაო ფურცლებს (იხ. დანართი 2).

საიდან ვიცი, რომ სკოლაში ვართ?	
რა ინფორმაციას მაწვდის:	
მხედველობა?	არის დაფა, მერხები, მასწავლებლის მაგიდა - საკლასო ოთახია.
სმენა?	მასწავლებელი კითხვებს სვამს, მოსწავლეები პასუხობენ - გაკვეთილია.
ყნოსვა?	ღია ფანჯრიდან შემოდის ცაცხვის ყვავილების სუნი.
შეხება?	ვეხები დიდ ფურცელს, ფერად ფანქრებს - ვხატავ (/ვასრულებ დავალებას).
გემოვნება	ვაგემოვნებ ფუნთუშას - ბუფეტია.

(მიზანი: იგივე, რაც წინა აქტივობის შემთხვევაში).

- წინადადების აგება სქემაზე დაფუძნებით - მოსწავლეებს მისცემთ შემდეგ ორ კონსტრუქციას, მათ ორ-ორი წინადადება უნდა შეადგინონ და წარმოადგინონ (იხ. დანართი 2):

	რას?	რით?
ვხედავ	დაფას	თვალით

	რას?	რით?
ყნოსავ	ყვავილს	ცხვირით?

	რა?	რით?
მესმის	ზარის ხმა	ყურით?

	რას?	რით?
ვეხები	წიგნს	ხელით (კანით)?

	რას?	რით?
ვაგემოვნებ	ხაჭაპურს	ენით

ნიმუში:

*ვხედავ წიგნს თვალით. ვხედავ მანქანას თვალით.
 ვყნოსავ ნაცხვარს ცხვირით. ვყნოსავ ლიმონს ცხვირით.
 მესმის ლაპარაკი ყურით. მესმის მუსიკა ყურით.
 ვეხები ცარცს ხელით. ვეხები კარს ხელით.
 ვაგემოვნებ ნამცხვარს ენით. ვაგემოვნებ მურაბას ენით (მიზანი: ენობრივი უნარების განვითარება).*

- საგნის დაკავშირება შეგრძნების ორგანოებთან - დახაზავთ დაფაზე ცხრილს, რომელიც მოსწავლეებმა ჯგუფებში უნდა შეავსონ. შემდეგ მოსწავლეთა ჯგუფებს დაურიგებთ შესაბამის სამუშაო ფურცლებს (იხ. დანართი 2). სამუშაოს დასრულების შემდეგ ჯგუფები წარმოადგენენ შევსებულ ცხრილებს. დასრულებულ ნამუშევრებს ერთობლივად განიხილავთ.

რა ინფორმაციას მაწვდის შეგრძნებები ლიმონზე?	
შეგრძნება	ინფორმაცია
მხედველობა	ლიმონი ყვითელია
სმენა	
ყნოსვა	ლიმონს მძაფრი სუნი აქვს
შეხება	ლიმონი რბილია, ხაოიანია
გემოვნება	ლიმონი მჟავია

შენიშვნა: ამ ტიპის სავარჯიშოები, საჭიროებისამებრ, შეგიძლიათ შეადგინოთ სხვადასხვა ობიექტზე (ცხოველებზე, მცენარეებზე, საკვებზე, ნივთებზე და სხვ.).

- დისკუსია - მოაწყვეთ დისკუსია შეგრძნების ორგანოებზე.

სადისკუსიო კითხვები:

- აქვთ თუ არა ცხოველებს შეგრძნების ორგანოები? მოსწავლეებმა საკუთარი მოსაზრება მაგალითებით უნდა გაამყარონ.
- ნაცნობი ცხოველებიდან რომელს აქვს კარგად განვითარებული მხედველობის ორგანო, ყნოსვის ორგანო, სმენის ორგანო?

პასუხები:

- კარგი მხედველობა აქვთ ფრინველებს, განსაკუთრებით მტაცებლებს.
- ყნოსვის ორგანო ძალიან კარგად აქვთ განვითარებული ძაღლებს. მათი ყნოსვა 100-ჯერ აღემატება ადამიანისას.
- ძალიან კარგად განვითარებული სმენის ორგანო აქვს ძროხას.
- გველს ყნოსვის ორგანო ენაზე აქვს. ამიტომ ის ხშირად ყოფს ენას, რათა სუნის შეიგრძნოს.
- ტექსტის შევსება სათანადო ინფორმაციით-მოსწავლეებმა უნდა ჩაწერონ, შეგრძნების რომელი ორგანოსგან მიიღება ინფორმაცია, რომელიც აფრთხილებს ან ეხმარება ინფორმაციის მიმღებს (იხ. დანართი 2).

ინფორმაცია	რომელი ორგანო / ორგანოები მაწვდის ინფორმაციას?	მაფრთხილებს	მეხმარება
ფრთხილად, წითელი შუქია, არ გადახვიდე ქუჩაზე!	თვალი	X	
წვიმს, საწვიმარი ჩაიცვი!	კანი, თვალი, ყური	X	
ფრთხილად, ბალახში გველია!	თვალი	X	
ეს მოხარშული კვერცხი გაფუჭებულია, არ შეჭამო!	ენა, ცხვირი	X	
აი, დააკვირდი, ფაზლის ეს ნაწილი უნდა ჩასვა მანდ!	თვალი		X
მწვანე ჟაკეტი უფრო გიხდება, შავი არ გიხდება!	თვალი		X
ცივა, პალტო ჩაიცვი!	კანი	X	
ცხელია, არ დაადო ხელი!	კანი	X	

ნამუშევრებს ერთობლივად განიხილავთ. მოსწავლეებს მიიყვანთ იმ დასკვნამდე, რომ შეგრძნებები გვაფრთხილებენ და გვეხმარებიან არჩევანის გაკეთებაში, გადაწყვეტილების მიღებაში.

(მიზანი: შეგრძნების ორგანოების ფუნქციის გააზრება).

VII ეტაპი

როგორ მოვიქცე, რომ გამიადვილდეს საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტის გააზრება? (წიგნი „შეგრძნებები“, დონე საშუალო 1.) (ცნებები: შეგრძნების ორგანოები, სტრატეგია: გონებრივი რუკა)

წაკითხვამდე

- **ვარაუდების გამოთქმა** - წიგნის სათაურზე, ილუსტრაციებსა და მუქად დაწერილ საკვანძო სიტყვაზე დაყრდნობით, მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდს, თუ რაზეა საუბარი წიგნის ცალკეულ გვერდზე (ყოველი ცალკეული გვერდი შეგრძნების ერთ რომელიმე ორგანოს ეთმობა).

(მიზანი: წინარე ცოდნის გააქტიურება, მზაობის შექმნა ტექსტის შინაარსის გასაგებად).

კითხვის დროს

- **წაკითხული ინფორმაციის დაჯგუფება გრაფიკული მარგანიზებლით** - მოსწავლეებმა უნდა დაახარისხონ ინფორმაცია გონებრივი რუკის დახმარებით. ააგებინეთ მათ გრაფიკული მარგანიზებელი მართული პრაქტიკით: მთავარ შუა რგოლში - ცნება *შეგრძნება*, ხუთი განშტოების ბოლოს, უფრო მომცრო რგოლებში - ხუთი შეგრძნებისა და შესაბამისი ორგანოს დასახელება ისე, როგორც წიგნშია. აქ მოსწავლეებმა უნდა დაინახონ სამი სტრუქტურული ელემენტი: *სკოლაში*, *სახლში*, *ტყეში*. აღნიშნული სამი ელემენტის შესაბამისად, შეგრძნებების თითოეულ რგოლთან გამოისახება სამ-სამი განშტოება

(მიზანი: საინფორმაციო ტექსტის გააზრება).

კითხვის შემდეგ

- **გონებრივი რუკის გამდიდრება** - მოსწავლეები უმატებენ ინფორმაციას სქემის ქვედა რგოლებს საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით (რას ხედავენ, რა ესმით, რას ეხებიან, რას აგემოვნებენ სკოლაში, სახლში, ტყეში).

(მიზანი: საინფორმაციო ტექსტის გააზრება).

- **გამოცანების შედგენა** - შემუშავებულ სქემაზე დაყრდნობით, მეწყვილეები შეადგენენ გამოცანებს: *გამოიცანი, სად ვარ?* პირველ გამოცანას თქვენ შეადგენთ მოდელირების მიზნით. აუხსენით მოსწავლეებს, რომ მათ ჯერ უნდა წარმოიდგინონ, სად არიან და მხოლოდ ამის მერე შეადგინონ გამოცანა. სთხოვეთ მეწყვილეებს, წინასწარ შეგითანხმონ, „სად არიან“

(მიზანი: ნასწავლი ლექსიკური მარაგის გააქტიურება, ზეპირმეტყველების უნარების განვითარება).

- **ინფორმაციის წარდგენა სქემაზე დაყრდნობით** -მსურველები გამოვლენ და გონებრივ რუკაზე დაყრდნობით გადმოსცემენ ინფორმაციას, დაეხმარეთ მათ კითხვების დასმით.

(მიზანი: იგივე, რაც წინა აქტივობის შემთხვევაში).

VIII ეტაპი

როგორ მოვიქცე, რომ გამიადვილდეს საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტის გააზრება? (წიგნი „შეგრძნებები“, დონე საშუალო 2.) (ცნებები: შეგრძნების ორგანოები, სტრატეგია: გონებრივი რუკა)

წაკითხვამდე

- **ვარაუდების გამოთქმა** - წიგნის სათაურზე, ილუსტრაციებსა და მუქად დაწერილ საკვანძო სიტყვაზე დაყრდნობით, მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდს, თუ რაზეა საუბარი წიგნის ცალკეულ გვერდზე (ყოველი ცალკეული გვერდი შეგრძნების ერთ რომელიმე ორგანოს ეთმობა.

(მიზანი: წინარე ცოდნის გააქტიურება, მზაობის შექმნა ტექსტის შინაარსის გასაგებად).

კითხვის დროს

- **დაფიქრება კითხვის პროცესზე (მეტაკოგნიტური პაუზა აქტივობამდე)** - მოსწავლეებს ეტყვიან, რომ მათ კითხვის პროცესში დამოუკიდებლად უნდა შეადგინონ გონებრივი რუკა. ტექსტზე დაკვირვებით, მეწყვილეებმა უნდა მოიფიქრონ, რა სიტყვას ჩაწერენ მთავარ, ყველაზე დიდ რგოლში. მოსაზრებებს დაფაზე ჩამოწერთ და მოაწყობთ დისკუსიას - რომელი სიტყვის ჩაწერა იქნება ყველაზე სწორი/ადეკვატური და რისთვის? (ტყე, რადგანაც ყველა ინფორმაცია ტყეს უკავშირდება). თუ გონებრივი რუკის მთავარი რგოლისთვის მოსწავლეები სხვა სიტყვას დაასახელებენ, მიეცით მათ არჩევანის თავისუფლება, რათა თავად გამოსცადონ, როგორ „იმუშავენს“ შერჩეული სიტყვა.

(მიზანი: კითხვის სტრატეგიის დაუფლება).

- **წაკითხული ინფორმაციის დამოუკიდებლად დაჯგუფება** - მეწყვილეები კითხვის პროცესში დამოუკიდებლად აგებენ გონებრივ რუკას და ახარისხებენ ტექსტში მოცემულ ინფორმაციას. ბოლოს მოეწყობა პრეზენტაციები, გასწორდება შეცდომები, გაირკვევა გაუგებრობები.

(მიზანი: საინფორმაციო ტექსტის გააზრება, კითხვის სტრატეგიის დაუფლება).

- **დაფიქრება კითხვის პროცესზე (მეტაკოგნიტური პაუზა აქტივობის შემდეგ)** - მოსწავლეებთან ერთად განიხილავთ, ვინ როგორ ააგო სქემა, რა გაუჭირდათ, რა გაუადვილდათ, სხვაგვარად ხომ არ სჯობდა მისი აგება.

(მიზანი: სტრატეგიებზე დაფიქრება, ანუ მეტაკოგნიციის განვითარება).

IX ეტაპი

როგორ მოვიქცე, რომ გამიადვილდეს საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტის გააზრება? (წიგნი „შეგრძნებები“, დონე მაღალი.) (ცნებები: შეგრძნების ორგანოები, სტრატეგია; გასააქტიურებელი სტრატეგიები: ინფორმაციის გონებაში გაცოცხლება, აზრის გამოტანა ნაცნობ ელემენტებზე დაყრდნობით, უცნობი სიტყვების ამოცნობა კონტექსტზე, ილუსტრაციებზე დაყრდნობით, ლექსიკონის შედგენა)

წაკითხვამდე

- **სკოლის დაწესებულებასთან დაკავშირებული ლექსიკის გახსენება** - მოსწავლეებმა უნდა გაიხსენონ სკოლასთან დაკავშირებული ნაცნობი სიტყვები: სკოლის დერეფანი, კლასი, სპორტული დარბაზი, ბოსტანი, სასადილო, ნამცხვარი, კიბე. დაეხმარეთ ამაში კითხვების მეშვეობით: *რა არის საკლასო ოთახში / კლასში? კლასიდან სად გავდივართ? რა არის სპორტულ დარბაზი/აქვს თუ არა ჩვენს სკოლას სპორტული დარბაზი? რა არის სასადილოში? აქვს თუ არა სასადილო ჩვენს სკოლას? რა არის ბოსტანში? აქვს თუ არა ჩვენს სკოლას ბოსტანი? ვის აქვს ბოსტანი?* (მიზანი: წინარე ცოდნის გააქტიურება, მზაობის შექმნა ტექსტის შინაარსის გასაგებად).
- **მომზადება ტექსტის მოსასმენად** - დაწერეთ დაფაზე სიტყვები: სასადილო, დერეფანი, ბოსტანი, სპორტული დარბაზი, კლასი. გააფრთხილეთ მოსწავლეები, რომ: 1) იტყვიან გამოცანებს, მათ კი უნდა ამოიციონ ადგილი (გამოცანის თანახმად, სად არიან); 2) ნაცნობ სიტყვებს რომ გაიგონებენ, „თავში შეიყვანონ“, ანუ გონებაში ცოცხლად წარმოიდგინონ ისინი. (მიზანი: იგივე, რაც წინა აქტივობის შემთხვევაში).
- **გამოცანების მოსმენა და ამოცნობა** - წიგნიდან (მაღალი დონე 1) ნელა, ორჯერ კითხულობთ თითო-თითო გამოცანას. მოსწავლეები იწერენ სავარაუდო პასუხებს თავიანთ რვეულებში სათანადო ნუმერაციით. გადაიტანეთ პასუხების ვარიანტები დაფაზე და მოაწყვეთ მათი განხილვა. (მიზანი: იგივე, რაც წინა აქტივობის შემთხვევაში).

კითხვის დროს

- **სავარაუდო პასუხების შემოწმება** - მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს და ამოწმებენ პირველად პასუხებს. ბოლოს პასუხებს ერთობლივად შეამოწმებთ. (მიზანი: საინფორმაციო ტექსტის გააზრება).
- **მუშაობა უცნობ სიტყვებზე** - მოსწავლეები რვეულებში ამოიწერენ უცნობ სიტყვებს, პარალელურად ამავე სიტყვებს დაწერთ დაფაზეც. ილუსტრაციებსა და კონტექსტზე დაყრდნობით, მოსწავლეები ცდილობენ მათი მნიშვნელობის

ამოცნობას და ასახელებენ თავიანთ ვარიანტებს. დაფაზე წერთ სწორ ვარიანტებს, რომლებიც მოსწავლეებს რვეულებში გადააქვთ (მიზანი: საინფორმაციო ტექსტის გააზრება, ლექსიკური მარაგის გამდიდრება).

X ეტაპი

როგორ მოვიქცე, რომ გამიადვილდეს საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტის გააზრება? (წიგნი „შეგრძნებები“, დონე მაღალი 2) (ცნებები: შეგრძნების ორგანოები, სტრატეგია)

სტრატეგიები: ტექსტის სტრუქტურაზე დაკვირვება, ვარაუდების გამოთქმა

გაცნობითი კითხვა

- **სარჩევის წაკითხვა და დაკავშირება წიგნის შინაარსთან** - მოსწავლეები ეცნობიან სარჩევს და წიგნში ეძებენ შესაბამის თავებს; არკვევენ, სად იწყება და სად მთავრდება თითოეული მათგანი.

(მიზანი: წიგნში ორიენტირება, სტრუქტურის ამოცნობა).

- **ვარაუდების გამოთქმა** - თავებზე, სათაურებსა და საკვანძო სიტყვებზე დაყრდნობით მოსწავლეები ამოიცნობენ ტექსტის ზოგად შინაარსს.

(მიზანი: წინარე ცოდნის გააქტიურება, მზაობის შექმნა წიგნის შინაარსის გასააზრებლად).

კითხვის დროს

- კითხვის სესია: ტექსტში მოცემული ინფორმაციის გააზრების საფუძველზე მოსწავლე ეტაპობრივად ასრულებს შემდეგ აქტივობებს:

მე-3 გვერდი „ფერმაში“:

- დაუკავშირე წინადადებებს შეგრძნებების შესაბამისი ორგანოები

მე-4 გვერდი

- „შეგრძნებები ერთად მოქმედებენ“ - მოიყვანე ამის მაგალითი.

მხედველობა

- დააკავშირე მოცემული ინფორმაცია ილუსტრაციებთან
- დაწერე, კიდე რაში გვეხმარება თვალები

სმენა

- დააკავშირე მოცემული ინფორმაცია ილუსტრაციებთან
- დაწერე, კიდე რაში გვეხმარება ყურები

შეხება

- მოცემული ინფორმაციის ილუსტრაციებთან დაკავშირება
- დაწერე, კიდევ რაში გვხმარება კანი

ყნოსვა

- მოცემული ინფორმაციის ილუსტრაციებთან დაკავშირება
- დაწერე, კიდევ რას შეიგრძნობ ყნოსვით

გემოვნება

- მოცემული ინფორმაციის ილუსტრაციებთან დაკავშირება
- დაწერე, კიდევ რას შეიგრძნობ გემოთი

კითხვის შემდეგ

- ტექსტიდან ამოიწერეთ სიტყვები, რომლებიც უკავშირდება შეგრძნების ორგანოებს (იხ. დანართი 2)

რეზო, ეკა და მამა ეზოში არიან. მზეა ცხელა. ცაზე პატარა თეთრი ღრუბელია. ღობეზე ჭრელი მამალი ყვივს: “ყიყლიყოო”. მამალს წითელი ბიბილო აქვს. ეზოში დიდი ძაღლია. ძაღლი მამალს უყეფს. რეზო მამას ეხმარება. მამა ყვითელ ყვავილებს რგავს. სურნელოვან ყვავილს ფუტკარი დააჯდა. ეკა უყურებს და თან ტკბილ ვაშლს ჭამს. უცებ ფუტკარი ვაშლს დააჯდა და ეკას თითზე უკბინა. ეკას ეტკინა და ატირდა.

მოსწავლეებმა უნდა წაიკითხონ ტექსტი და დაუკავშირონ ხაზგასმული სიტყვები შესაბამის შეგრძნებებს.

შეგრძნება	სიტყვები
შეხება	ცხელა, უკბინა, ეტკინა
მხედველობა	პატარა, თეთრი, ჭრელი, წითელი, დიდი, ყვითელ
ყნოსვა	სურნელოვან
სმენა	ყვივის, უყეფს,
გემოვნება	ტკბილ

- სადისკუსიო საკითხები:

მხედველობა

- რისთვის არის მხედველობა მნიშვნელოვანი? (გააზრება)
- როგორ დაახასიათებ საგნებს, რომლებსაც ხედავ? (გამოყენება)

- რა გიყვარს ყველაზე მეტად იქიდან, რასაც ხედავ? (შეფასება)

სმენა

- რისთვის არის სმენა მნიშვნელოვანი? (გააზრება)
- რამოხდებოდა, თუკი ხელები იქნებოდა შენი სმენის ორგანო? (შექმნა)
- რომელია შენი საყვარელი ხმები? (შეფასება)

შეხება

- სხეულის რომელი ნაწილით გრძნობ შეხებას?(გახსენება)
- რისთვისაა შეხება მნიშვნელოვანი? (გააზრება)
- რაში მეხმარება შეხების ორგანო? (გამოყენება)

გემოვნება

- სხეულის რომელი ნაწილი გეხმარება გემოს გაგებაში?(გახსენება)
- რისთვის არის გემოს შეგრძნება მნიშვნელოვანი? (გააზრება)
- როგორ აღწერ ზოგიერთ საგანს, რომლებსაც აგემოვნებ? (გამოყენება)
- რომელია შენი საყვარელი გემო? (შეფასება)

ყნოსვა

- სხეულის რომელი ნაწილი გეხმარება ყნოსვაში?(გახსენება)
- რისთვის არის სუნის შეგრძნება მნიშვნელოვანი? (გაგება)
- რაში გეხმარება სუნის შეგრძნება? (გამოყენება)
- რომელია შენი საყვარელი სუნი? (შეფასება)

შენიშვნა: სადისკუსიო ბარათები შედგენილია ისე, რომ მათი გამოყენება შესაძლებელია როგორც ჯგუფური დისკუსიების, ისე ინდივიდუალური/წყვილებში მუშაობის დროსაც. ამოირჩიეთ აქტივობა, რომელიც ყველაზე კარგად შეესაბამება თქვენს მიზანს

- დაყავით კლასი ჯგუფებად და დაურიგეთ სადისკუსიო კითხვები. ჯგუფებმა კლასის წინაშე უნდა უპასუხონ კითხვებს.
- ყველა ჯგუფი პასუხობს კითხვებს. ამის შემდეგ გამოავლინეთ მსგავსება-განსხვავებები პასუხებს შორის და იმსჯელეთ მათზე.
- განალაგეთ სადისკუსიო ბარათები ცენტრში. როდესაც მოსწავლეები ამოატრიალებენ შესაბამის ბარათს, სთხოვეთ, დაწერონ პასუხი ან ზეპირად უპასუხონ კითხვას.
- აარჩევინეთ თითოეულ მოსწავლეს თითო ბარათი. მან უნდა დაწეროს კითხვაზე პასუხი ბარათის უკან. შეაგროვეთ ბარათები და განიხილეთ ისინი კლასთან ერთად.
- მიეცით კონკრეტული კითხვები საშინაო დავალებად (ჯგუფური ან ინდივიდუალური მუშაობისათვის).

იდები შემაჯამებელი დავალებებისთვის:

ალტერნატივა 1.

- **პოსტერი** - შეგრძნებები და წელიწადის დრო - მოსწავლეებმა (ინდივიდუალურად, წყვილებში თუ გუნდურად) უნდა შექმნან ოთხი პოსტერი: თითო პოსტერი წელიწადის თითო დროისთვის. დაასათაურებინეთ პოსტერები: „შეგრძნებები და გაზაფხული“, „შეგრძნებები და ზაფხული“ და ა.შ. პოსტერებზე მოსწავლეები თითო-თითო წინადადებით დაწერენ, რას აღიქვამენ შეგრძნებებით გაზაფხულზე, ზაფხულში, შემოდგომასა და ზამთარში (შეგრძნების ობიექტებს მოსწავლეები შეარჩევენ თავიანთი სურვილით). მოსწავლეები პოსტერებს გააფორმებენ შესაბამისი ნახატებით, ილუსტრაციებით, ფოტოებით. დასრულებული ნამუშევრები გამოიფინება.

ალტერნატივა 2.

- **პოსტერი** - შეგრძნება და წელიწადის დროები - ამ პოსტერზე პირიქით, გამოტანილი იქნება ერთი შეგრძნება/შეგრძნების ერთი ორგანო წელიწადის ოთხივე დროს. მაგ, რას ხედავს თვალი გაზაფხულზე, ზაფხულში, შემოდგომაზე, ზამთარში. შესაბამისად, პოსტერების სათაურები იქნება: „თვალი და წელიწადის დროები“, „ყური და წელიწადის დროები“ და ა.შ. პოსტერებზე მოსწავლეები თითო-თითო წინადადებით დაწერენ, რას შეიგრძნობენ/რა ინფორმაციას აღიქვამენ გაზაფხულზე, ზაფხულში, შემოდგომასა და ზამთარში შერჩეული შეგრძნებით (შეგრძნების ობიექტებს მოსწავლეები ამირჩევენ თავიანთი სურვილით). მოსწავლეები აფორმებენ პოსტერს შესაბამისი ნახატებით, ილუსტრაციებით, ფოტოებით. დასრულებული ნამუშევრები გამოიფინება.

ალტერნატივა 3.

- **წიგნი**- სად მიყვარს ყოფნა? - მოსწავლეები შეარჩევენ ერთ-ერთ თემას (მასწავლებლის შეთავაზებით ან დამოუკიდებულად) და ქმნიან „წიგნს“. შესაძლო ვარიანტები წიგნისთვის: მე ვარ მდინარის პირას; მე ვარ ჩემს ეზოში; მე ვარ ქალაქში და ქმნიან „წიგნს“. შესაძლებელია, რომ წიგნის თითო გვერდი თითო შეგრძნების ორგანოს დაეთმოს (ისე, როგორც არის წიგნში „მე ტყეში ვარ“).

დაეხმარეთ მოსწავლეებს წიგნის სტრუქტურის/სარჩევისა და გეგმის შედგენაში.

შესაძლო ნიმუში:

- შესავალი
- რას ვხედავ?
- რას მესმის?
- რას ვეხები?
- რას ვაგემოვნებ?
- რას ვყნოსავ
- დასკვნა